

**საქართველოს საპატრიარქოს
წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის
პროფესიული მოდულური პროგრამის განმახორციელებელი**

პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმა

შესავალი

თანამშრომლების პროფესიული და პიროვნული განვითარება ნებისმიერი ორგანიზაციის წინსვლისა და წარმატებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ა(ა)იპ „წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში“ განხორციელდა თანამშრომელთა საქმიანობის შეფასება. ჩვენი კვლევის საფუძველზე, გამოვლინდა თანამშრომლების საჭიროებები სხვადასხვა კომპეტენციებში, რაც გვეხმარება ზუსტად განვსაზღვროთ სამოქმედო ნაბიჯები, რომლებიც გააუმჯობესებს როგორც ინდივიდუალურ, ისე გუნდურ მუშაობას. კვლევამ აჩვენა, რომ ადმინისტრაციის თანამშრომლებს ესაჭიროებათ წერილობითი ანგარიშების შემუშავების შედარებით მაღალი კომპეტენცია, განსხვავებულ ამოცანებზე ერთდროულად მუშაობის უნარის გაუმჯობესება, პროფესიული განვითარებისკენ სწრაფვა, უკუკავშირის კულტურის ამაღლება და სტრესის მართვის უნარის გაუმჯობესება. ტექნიკურ ჯგუფში გამოიკვეთა შიდა პროცედურებისა და მანუალების ცოდნის გაძლიერების საჭიროება. ამ გამოწვევების გათვალისწინებით, გთავაზობთ თანამშრომლების განვითარების გეგმას, რომელიც მიზნად ისახავს ამ უნარების გაძლიერებასა და ცოდნის ამაღლებას.

განვითარების გეგმის მიზნები:

- პროფესიული და პიროვნული უნარების გაძლიერება: თანამშრომლებისთვის მნიშვნელოვან კომპონენტებში ცოდნის და უნარების გაღრმავება.
- უკუკავშირის კულტურის განვითარება: თანამშრომლებისთვის კომუნიკაციისა და უკუკავშირის მიღებისა და გაცემის უნარის გაუმჯობესება.
- განვითარების გეგმის ძირითადი კომპონენტები

1. ტრენინგების ციკლი ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის

მიზანი: თანამშრომლების უნარ-ჩვევების განვითარება ისეთ კომპონენტებში, რომლებიც შეფასების შედეგად სუსტ მხარეებად გამოვლინდა.

- ტრენინგი სტრესის მართვაში
 - შინაარსი: სტრესის მართვის ტექნიკები, სამუშაოსთვის უარყოფითი ემოციების გადალახვა.
 - ხანგრძლივობა: 1 დღე (4-8 საათი)

- **მეთოდი:** ინტერაქტიული სესიები, როლური თამაშები, პირადი შემთხვევების განხილვა.
- **ტრენინგი წერილობითი ანგარიშების შედგენაში**
 - **შინაარსი:** ანგარიშების სტრუქტურა, ფორმატები და ეფექტური წერის უნარების განვითარება.
 - **ხანგრძლივობა:** 1 დღე (6 საათი)
 - **მეთოდი:** პრაქტიკული სავარჯიშოები, ნიმუშების განხილვა, ინდივიდუალური და გუნდური სამუშაოები.
- **განსხვავებულ ამოცანებზე მუშაობის უნარების გაძლიერება**
 - **შინაარსი:** დროის მართვა, ამოცანების პრიორიტეტიზაცია, ეფექტური ორგანიზაცია.
 - **ხანგრძლივობა:** 1 დღე (5-8 საათი)
 - **მეთოდი:** ჯგუფური დისკუსიები, ინტერაქტიული სავარჯიშოები, მაგალითების განხილვა.
- **უკუკავშირის კულტურა**
 - **შინაარსი:** აქტიური მოსმენის ტექნიკები, უკუკავშირის გაცემა და მიღება.
 - **ხანგრძლივობა:** 1 დღე (4-6 საათი)
 - **მეთოდი:** როლური თამაშები, ინტერაქტიული განხილვები, გუნდური სამუშაოები.

2. ტრენინგები შრომის უსაფრთხოების, ხანძარ საწინააღმდეგო და საგანგებო მდგომარეობის საკითხებზე.

მიზანი: ცნობიერების ამაღლება, შრომის უსაფრთხოების, სახანძარო და საგანგებო მდგომარეობის მართვის საკითხებზე.

შინაარსი: საგანგებო მართვის პროცესის, რისკების მართვა, პირველადი სამედიცინო დახმარების სწავლება.

- **მეთოდი:** საინფორმაციო პრეზენტაცია, კითხვების და პასუხების სესია, სიმულაცია დამსწრე პირთა მონაწილეობით.
- კვლევამ გამოავლინა, რომ თანამშრომლების თვითშეფასების დონე განსხვავებულია - ზოგიერთ მათგანს აქვს დაბალი თვითშეფასება, ზოგს კი მაღალი. ამ განსხვავების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ თანამშრომლებმა რეალურად და ობიექტურად შეაფასონ საკუთარი უნარები და შესაძლებლობები.

რეალური თვითშეფასების ტრენინგის მიზანია:

1. **თვითშეფასების ობიექტურობის ამაღლება:** თანამშრომლებმა უკეთ გაიგონ თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეები.

2. თავისალიარების ტექნიკები: პერსონალურ განვითარებაზე ორიენტირებული ტრენინგი, რომელიც დაეხმარება მონაწილეებს საკუთარი მიზნების რეალურად განსაზღვრასა და მიღწევის გზების დადგენაში.

ტრენინგის კომპონენტები

- თვითშეფასების ინსტრუმენტები: როგორ გამოვიყენოთ სხვადასხვა მეთოდი (მაგ., SWOT ანალიზი) რეალური სურათის დასანახად.
- სტერეოტიპებისა და თვითშეფასების დაბრკოლებების გადალახვა: სამუშაო გარემოში არსებული ფაქტორების გავლენა თვითშეფასებაზე.
- პიროვნული ზრდისა და განვითარების მიმართულებები: თანამშრომლებს მიეცემათ როლური თამაშებისა და პრაქტიკული სავარჯიშოების საშუალებით საკუთარი უნარების შემოწმება.

ეს ტრენინგი თანამშრომლებს დაეხმარება, მიაღწიონ უფრო რეალურ თვითშეფასებას, რაც მათ პიროვნულ ზრდასა და პროფესიულ განვითარებას შეუწყობს ხელს.

დასკვნა

ეს განვითარების გეგმა მიმართულია თანამშრომლების ინდივიდუალური და საერთო კომპეტენციების ამაღლებისკენ, რაც, საბოლოოდ, ორგანიზაციის საერთო ეფექტიანობის გაზრდას შეუწყობს ხელს. უნივერსიტეტის პროფესიული მოდულური პროგრამის განმახორციელებელი პირების/თანამშრომლებისთვის მრავალმხრივი უნარების განვითარება. გეგმა ხელს შეუწყობს პროფესიული განვითარებისადმი მოტივაციას და თანაბრად მოამზადებს თანამშრომლებს სამომავლო წარმატებებისთვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის დახვეწის მიზნით, მომავალში შესაძლებელია გადაიხედოს შეფასების ფორმები და შედარებით მორგებული გახდეს პოზიციებზე, რადგან კვლევამ აჩვენა რომ ზოგიერთ შემთხვევაში კვლევის ობიექტების კომპეტენციები დაბალია ისეთ მიმართულებებში, რომლებსაც თანამშრომლები სამუშაოს განხორციელებისვის ნაკლებად ან საერთოდ არ საჭიროებენ. შესაბამისად, რეკომენდირებულია შეფასების ფორმები კონკრეტულად სტრუქტურულ ერთეულებზე მორგებულად შემუშავდეს.